# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №350

## 2013 წლის 19 დეკემბერი

## ქ. თბილისი

## „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 01/11/2013, 470230000.10.003.017446) დამტკიცებულ 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №17 დანართის (სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება):

ა) მე-3 მუხლს (მომსახურების მოცულობა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების რეფორმირების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები.“;

ბ) მე-4 მუხლს (დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. პროგრამის მე-3 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით და განისაზღვრება 29 000 (ოცდაცხრა ათასი) ლარით.“;

გ) მე-5 მუხლის (პროგრამის განხორციელების მექანიზმები) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებითა და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“;

დ) მე-6 მუხლის (მომსახურების მიმწოდებელი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებითა და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.“;

ე) მე-6 მუხლის (მომსახურების მიმწოდებელი) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - სსიპ - „სსდ ცენტრი“).“;

ვ) მე-8 მუხლს (დამატებითი პირობები) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ზედამხედველობა მოიცავს მიმწოდებლის მიერ განმახორციელებლისათვის ყოველთვიურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.“;

ზ) მე-9 მუხლი (პროგრამის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 13,766.0 ათასი ლარით:

| № | კომპონენტები | ბიუჯეტი (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სასწრაფო სამედიცინო დახმარება | 10,607.5 |
| 2 | სამედიცინო ტრანსპორტირება | 3,129.5 |
| 2.1 | რეფერალური დახმარება | 2,285.3 |
| 2.2 | საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება | 444.2 |
| 2.3 | საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა | 400.0 |
| 3. | სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების რეფორმირების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები | 29.0 |
| | სულ: | 13,766.0 |

.“.

2. №18 დანართის (სოფლის ექიმი):

ა) მე-3 მუხლს (მომსახურების მოცულობა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება - შიდა ქართლის სოფლებში სოფლის ექიმების/ექთნების გამართული მუშაობისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.“;

ბ) მე-4 მუხლს (დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. პროგრამის მე-3 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით და განისაზღვრება 35.4 ათასი ლარით.“;

გ) მე-6 მუხლს (მომსახურების მიმწოდებელი) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი.“;

დ) მე-8 მუხლს (დამატებითი პირობები) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ზედამხედველობა მოიცავს მიმწოდებლის მიერ განმახორციელებლისათვის ყოველთვიურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.“;

ე) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15,242.0 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად – 10,974,900.0 ათასი ლარით;

ბ) სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება – 4,231,700 ათასი ლარით;

გ) შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება - 35.4 ათასი ლარით.“;

ვ) დანართი 18.2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 18.2

**სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებები**

| № | დაწესებულება | თვის ბიუჯეტი (ლარებით) |
|---|---|---|
| 1 | ზემო აფხაზეთის საავადმყოფო | 17,674 |
| 2 | გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო | 6,358 |
| 3 | საბერიოს საექიმო ამბულატორია | 12,047 |
| 4 | ოტობაიას საექიმო ამბულატორია | 4,332 |
| 5 | ნაბაკევის  საექიმო ამბულატორია | 2,599 |
| 6 | მზიურის საექიმო ამბულატორია | 2,599 |
| 7 | ოქუმის საექიმო ამბულატორია | 4,332 |
| 8 | ზემო ბარღების საექიმო ამბულატორია | 2,599 |
| 9 | ქვემო ბარღების ამბულატორია | 867 |
| 10 | რეფის საექიმო ამბულატორია | 760 |
| 11 | შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა“ | 15,518 |
| 12 | შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია“ | 5,000 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | შპს „ქ. ჯვარის პოლიკლინიკა“ | | 5,272 |
| 14 | შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (წალკის მუნიციპალიტეტი) | | 6,014 |
| 15 | შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) | | 21,490 |
| 16 | შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (თიანეთის მუნიციპალიტეტი) | | 25,245 |
| 17 | შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (დაბა ბაკურიანი) | | 3,500 |
| 18 | შპს „მარნეულის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება“ (წერაქვის ამბულატორია) | | 1,170 |
| 19 | შპს „შატილის საექიმო ამბულატორია“ | | 2,000 |
| 20 | შპს „ბარისახოს ამბულატორია“ | | 1,170 |
| 21 | შპს „მედიქალ პარკი საქართველო“ (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) | | 16,200 |
| 22 | შპს „მედიქალ პარკი საქართველო“ (ონის მუნიციპალიტეტი) | | 11,000 |
| 23 | შპს „მედიქალ პარკი საქართველო“ (ცაგერის მუნიციპალიტეტი) | | 16,500 |
| 24 | შპს „მედიქალ პარკი საქართველო“ (მესტიის მუნიციპალიტეტი) | | 9,632 |
| 25 | შპს „ერედვის ამბულატორია“ | | 8,470 |
| 26 | შპს „ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია“ | | 3,582 |
| 27 | შპს „ქსუისის ამბულატორია“ | | 8,160 |
| 28 | შპს „ქურთის საავადმყოფო“ | | 35,976 |
| 29 | შპს „ახალგორის რაიონული პოლიკლინიკა“ | | 3,460 |
| 30 | შპს „ახალგორის რაიონული საავადმყოფო“ | | 5,000 |
| 31 | შპს „ლარგვისის საექიმო ამბულატორია“ | | 1,271 |
| 32 | შპს „ნიქოზის ამბულატორია“ | | 5,688 |
| 33 | შპს „წინაგრის საექიმო ამბულატორია“ | | 1,733 |
| 34 | შპს „ტყვიავის საავადმყოფო“ | | 3,400 |
| 35 | შპს „ჭუბერი-უშგულის სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება“ 2013 წლის 24 ივლისიდან | | 14,504 |
| | შპს „ადითი“ (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) (2013 წლის სექტემბრამდე) | | 12,500 |
| | | სექტემბერი | 16,700 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 36 | შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) | | ოქტომბერი | 16,600 |
| | | | ნოემბერი | 16,600 |
| | | | დეკემბერი | 14,330 |
| 37 | | ასპინძა | სექტემბერი | 14,200 |
| | | | ოქტომბერი | 23,800 |
| | | | ნოემბერი | 23,800 |
| | | | დეკემბერი | 20,550 |
| 38 | | დედოფლისწყარო | სექტემბერი | 31,800 |
| | | | ოქტომბერი | 45,400 |
| | | | ნოემბერი | 45,400 |
| | | | დეკემბერი | 39,200 |
| 39 | | ვანი | სექტემბერი | 9,100 |
| | | | ოქტომბერი | 15,100 |
| | | | ნოემბერი | 15,100 |
| | | | დეკემბერი | 13,040 |
| 40 | შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ | ლანჩხუთი | სექტემბერი | 21,800 |
| | | | ოქტომბერი | 36,500 |
| | | | ნოემბერი | 36,500 |
| | | | დეკემბერი | 31,510 |
| 41 | | ქარელი | სექტემბერი | 39,500 |
| | | | ოქტომბერი | 65,700 |
| | | | ნოემბერი | 65,700 |
| | | | დეკემბერი | 56,720 |
| 42 | | ჩოხატაური | სექტემბერი | 22,000 |
| | | | ოქტომბერი | 35,800 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ნოემბერი | 35,800 |
| | | | დეკემბერი | 30,900 |
| 43 | | ხარაგაული | სექტემბერი | 11,400 |
| | | | ოქტომბერი | 12,100 |
| | | | ნოემბერი | 12,100 |
| | | | დეკემბერი | 10,450.“. |

**მუხლი 2**

დაევალოს სააგენტოს ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთან (სსიპ - „სსდ ცენტრი“), ამავე დადგენილების პირველი მუხ-ლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურების მიმწოდებელთან (შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“) და „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანართი 18.2-ის „36-43“-ე პუნქტებით (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“) განსაზღვრულ მიმწოდებელთან 2013 წლის დეკემბრის თვის სრული ლიმიტის/ლიმიტების ანაზღაურება განახორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების/ხელშეკრულებების გაფო-რმებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3**

დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განახორციელოს ცვლილებები „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

**მუხლი 4**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაწესებულების შეუფერხებელი და უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით, სსიპ - „სსდ ცენტრს“ და შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს“ მიეცეთ უფლება საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო პროცედურების დასრულების, შესაბამისი მიმწოდე-ბლების გამოვლენამდე და საქონლის/მომსახურების მიწოდებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

**მუხლი 5**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**